ქალბატონო მიმოზა ძალიან გვიყვარხართ, იმდენად რამდენადაც ჩვენი ბავშვებისთვის ხართ ძალიან გულისხმიერი, მცოდნე, ენერგიული, გამგები მასწავლებელი.თქვენ ჩვენი საყრდენი ხართ. გაფასებთ და გვიყვარხართ❤ ❤ ❤ ❤

სალომე მამუჩიშვილი

პირველ რიგში საუკეთესო ადამიანი და მასწავლებელი ხართ. ძალიან მეგობრული და ძალიან კარგად ასწავლისო

რატომ მიყვარს ჩემი შვილის მათემატიკის მასწავლებელი? ჯერ იმიტომ, რომ შეაყვარა საგანი. თავდაუზოგავია, ბავშვებთან მეგობრული, უშუალო და თავისი საქმის პროფესიონალი.

ირმა ხუციშვილი

ჩემთვის, როგორც მშობლისთვის, გულისხმიერი ყურადღებიანი, უშუალო, ძალიან მეგობრული და ბავშვებისთვის სტიმულის მიმცემი ხართ ქალბატონო მიმოზა.❤ ❤ ❤

თამრიკო ლორთქიფანიძე

ჩვენი შეხვედრა 2020 წლის მაისში შედგა, დაძაბული შევედი ქალბატონ მიმოზასთან, ვინაიდან პირველ კლასში ვარეგისტირირებდი ძალიან მძიმე შშმ პირს, რომელიც ვერც დადიოდა, ვერც მეტყველებდა და ჰქონდა გონებრივი ჩამორჩენა. ჩვენმა შეხვედრამ ძალიან ბევრი რამ მასწავლა ცხოვრებაში. მისი სიტყვები ჩემნაირი მშობლისთვის ძალიან იმედის მომცემი იყო: „ვეცდები ყველანაირად დაგეხმაროთ“, ეს არ ყოფილა ლიტონი სიტყვები, დღეს ჩემი ბიჭი მეოთხე კლასშია, საოცარი მასწავლებელი ჰყავს და ჩვენი დირექტორი რომ არ ყოფილიყო, ბევრს ერთად ვერ შევძლებდით, ყველანაირად გვერდში გვიდგას, გაითვალისწინა ყველა ჩვენი თხოვნა“ -

რუზანა აკოფიანი.